საქართველოს მთავრობის

დადგენილება №492

2021 წლის 6 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა „ქართული ჩაის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 იანვრის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, „ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა „ქართული ჩაის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 იანვრის №20 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 21/01/2016, 340170000.10.003.019084) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა „ქართული ჩაის“:

1. მე-6 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 6^1 მუხლი:

„მუხლი 6^1. პროგრამის ფარგლებში იჯარის უფლებით გაცემული უძრავი ნივთის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზება

ამ პროგრამის ფარგლებში იჯარის უფლებით გადაცემული უძრავი ნივთის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზება შესაძლებელია, განხორციელდეს „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რესურსზე ხელმისაწვდომობის“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 ივლისის №464 დადგენილებით დამტკიცებული „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რესურსზე ხელმისაწვდომობის“ სახელმწიფო პროგრამით დადგენილი წესით, ამ პროგრამის მე-7 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების პირობით.“.

2. მე-7 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაციის იჯარის ხელშეკრულების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დადებიდან 25 წლის განმავლობაში უზრუნველყოს ჩაის მოყვანა ყოველწლიურად, რის დასადასტურებლადაც 5 წელიწადში ერთხელ ქონების სააგენტოს წარუდგინოს სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული შესაბამისი დასკვნა;“.

3. მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. პროგრამის ბენეფიციარის მიერ თანადაფინანსების ხელშეკრულებით (და მასთან დაკავშირებული ხელშეკრულებებით) ნაკისრი ვალდებულებების მონიტორინგს განახორციელებს სააგენტო, ხოლო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაციების იჯარის ხელშეკრულებით, ასევე ამ პროგრამის 6^1 მუხლით გათვალისწინებული ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგს – ქონების სააგენტო.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**